ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N 02

17 თებერვალი 2026 წელი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2026 წლის 17 თებერვალს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-8 მოწვევის რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, ირინა ტყეშელაშვილი, ბიძინა ჯაბიძე, სიმონ ჭოლოკავა, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, თეა გოგნაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, დიომიდე კიკნაველიძე, მურად ბურჯანაძე, კახა კოხოძე, გვანცა გრძელიძე, შადიმან გორგოძე, გიგა კესარელი, თინათინ დემეტრაძე, ირაკლი მშვილდაძე, ირაკლი ყანაჩაველი, გიორგი ჭელიძე, ელიზა ზაზარაშვილი, გრიგოლ ტაბეშაძე, ფრიდონ მაჩიტაძე, კობა კელენჯერიძე, გურამ ჩხეიძე, მურად მსხვილიძე, ლაშა კბილაშვილი, გიორგი ჯაბიძე, ზაზა ზივზივაძე.
სულ: 28 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: მარიამ მაშანეიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ნოდარ გიორგიძე – მუნიციპალიტეტის მერი.

პაატა ბუცხრიკიძე - მუნიციპალიტეტის მერის I მადგილე.

რევაზ კიკნაველიძე – მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

ლერი გუმბერიძე – მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ეკა მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადმიანური რესურსების მართვისგანყოფილების უფროსი.

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპლიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ისპექტირების სამსახურის უფროსი.

პრესის წარმომადგენლები: „ჩემი გაზეთი“

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე – საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში.

თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა გურამი კიკნაველიძე – მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „საკრებულოში შემოვიდა მუნიციპალიტეტის მერიის წერილობითი წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე, შემდეგ საკითხებზე“ (გ. კიკნაველიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი):

დღის წესრიგი

1. "ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N25 (დ-67.6725360001) დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

   მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვარციხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ვარციხეში მე-8 ქუჩის გაგრძელების შესახებ;

   მომხს. ეკა მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვარციხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ვარციხეში 33-ე ქუჩაზე I-ლი ჩიხის დამატების შესახებ.

   მომხს. ეკა მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 27 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:1. "ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N 25 (დ-67.6725360001) დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტი საკრებულოს წევრებს გააცნო, ლერი გუმბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, მან განმარტა, რომ ცვლილება განპირობებულია 2025 წლის ნაშთების ასახვით და კოდებში გადანაწილებით.

აზრი გამოთქვეს: მურად ბურჯანაძემ, თინა დემეტრაძემ, თეა გოგნაძემ, გიგა კესარელმა, ირაკლი მშვილდაძემ, გურამი კიკნაველიძემ.

საკრებულოს საფინანსო-საბიჯეტო საკითხთა კომისიის გადაწყვეტილება ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებს გააცნო, ამავე კომისიის თავმჯდომარემ-მურად ბურჯანაძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N3 დადგენილება:დ-67. 6726048001 თარიღი:17/02/2026 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 27 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვარციხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ვარციხეში მე-8 ქუჩის გაგრძელების შესახებ.

განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა, ეკა მშვილდაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადამიანური

რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, რომელმაც აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილობითი მომართვის შესაბამისად განხორციელდა სოფელ ვარციხეში მე-8 ქუჩის გაგრძლება.

საკითხის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის განხილვის თაობაზე გადაწყვეტილება საკრებულოს წევრებს გააცნო, ამავე კომისიის თავმჯდომარემ- გვანცა გრძელიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N3 განკარგულება:გ-67. 6726048001 თარიღი:17/02/2026 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 27 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვარციხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ვარციხეში 33-ე ქუჩაზე I-ლი ჩიხის დამატების შესახებ.

განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა, ეკა მშვილდაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, რომელმაც აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილობითი მომართვის შესაბამისად განხორციელდა სოფელ ვარციხეში მე-33 ქუჩაზე I ჩიხის დამატება..

საკითხის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის განხილვის თაობაზე გადაწყვეტილება საკრებულოს წევრებს გააცნო, ამავე კომისიის თავმჯდომარემ- გვანცა გრძელიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N4 განკარგულება:გ-67. 67260482 თარიღი:17/02/2026 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 27 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **გურამი კიკნაველიძე**